ელის პიზი: „ძალიან გამიმართლა, რომ საქართველოში მოვხდი“

1976 წლის 4 ივლისს, ფილადელფიაში მეორე კონსტიტუციური კონგრესის მიერ მიღებული იქნა ისტორიული დოკუმენტი, ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ეს დღე ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა.

ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირში შევხდით PEACE. CORPS-ის ყოფილ მოხალისეს, აივაზის უნივერსიტეტის პროფესორს **ელის პიზის,** რომელმაც ამ დღის მნიშვნელობაზე და სხვა საინტერესო თემებზე გვესაუბრა:

–კოლორადოს შტატიდან ვარ. ჩემი მშობლები იქ 65 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. შემდეგ ჩემი სამუშაოდან გამომდინარე საცხოვრისის შეცვლა მომიწია. აივაზის უნივერსიტეტში პოლიტიკურ მეცნიერებათა ლექტორი ვარ.

– როგორ აღმოჩნდით საქართველოში?

–ძალიან მინდოდა მოხალისედ მემუშავა უცხოეთში . 2005 მივმართე PEACE. CORPS-ს. მაშინ მოხალისეობის მსურველმა ახლანდელთან განსხვავებით არ იცოდა, რომ მსოფლიოს რომელ ქვეყანაში მოხვდებოდა. ძალიან გამიმართლა, საქართველოში მოვხდი, თქვენს ქალაქში საუკეთესო არასამთავრობო ორგანიზაციაში –ახალგაზრ-

გვ–2

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 18 (10430) 4 ივლისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

„ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციამ ოზურგეთში, გურიის რეგიონული კონფერენცია გამართა.

„ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციამ ოზურგეთში, გურიის რეგიონული კონფერენცია გამართა.

ქალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე **ნინო წილოსანმა** კონფერენციის მონაწილეებს ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები გააცნო და გურიის რეგიონული საბჭოს ხელმძღვანელი **ნათია გოლიაძე** (აირჩიეს თბილისში) და შემადგენლობა წარუდგინა, მათ შორის, ოზურგეთიდან: *მარი ჩხიკვიშვილი, ლალი სიჭინავა, ქეთი ვასაძე, ქრისტინა არაიანი;* ლანჩხუთიდან: *ლოლიტა ურუშაძე, ეკა გუჯაბიძე, ვერიკო კვირკველია;* ჩოხატაურიდან: *მანანა მინდაძე, ქეთევან სიხარულიძე, თეა მამალაძე.* გაკეთდა თემატური მოხსენებები.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქალთა ორგანიზაციის გამგეობის წევრები *მაია ბითაძე, ეკა სეფაშვილი, ნინი ვარდოსანიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ხატია წილოსანი, რიმა ბერაძე.*

დაპირისპირება ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს შორის

ქ. ოზურგეთში, საკათედრო ტაძრის ეზოში, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობ-ისთვის დაღუპულთა მემორიალის წინ ერთიანი ნაციო-ნალური მოძრაობა საინფორმაციო შეხვედრას ატარებდა. ამის შესახებ რეგიონული მე-დიის უმეტესობა არ იყო ინფორმირებული და აქციის ადგილას კონფლიქტის დაწყების შემდეგ მივედით. იყო სიტყვიერი დაპირისპირება და გაწევ-გამოწევა ენმ წევრებსა და „ქართული ოცნების“ მარდამჭერებს შორის.

არსებული ინფორმაციით, თავდაპირველად ენმ-ის აქტივისტებმა სიტყვიერი შეურაცხყოდა მიაყენეს ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ოფისის წინ მყოფ ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრებს და პარტიის სხვა აქტივისტებს.

დაპირისპირების დაწყების შემდეგ ტაძრის ეზოში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებიც მოვიდნენ და სიტყვიერი დაპირისპირება და გაწევ-გამოწევა საკრებულოს ორი ფრაქციის დეპუტატებს შორის მოხდა, თუმცა შემდეგ საქართველოს პარლამენტის წევრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, ხატია დეკანოიძემ (პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი) და ლევან ხაბეიშვილმა მოქალაქეებთან შეხვედრა გააგრძელეს.

ხატია დეკანოიძემ მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გაზეთ „ალიონთან“ გააკეთა: *–ჩვენ დავდივართ რეგიონებში იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს ევროკავშირში გაწევრიანების მნიშვნელობის შესახებ ვესაუბროთ. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას მათი კეთილდღეობისთვის, სამართლიანობისთვის, კანონის უზენაესობისთვის.*

ანალოგიური ინციდენტი მოხდა ქ. ქუთაისშიც. იქაც ქალაქის საკრებულოს „ქართული ოცნების“წევრები მოიყვანეს, ჩვენი შეხვედრის ჩასაშლელად.ისინი შემდეგ წავიდნენ. პოლიცია, როგორც ყოველთვის, გვიან მოვიდა.

აქაც მოვიდა ხალხი და ჩვენ მათთან ვაგრძელებთ შეხვედრას. მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი ამის ზემოთ სამშობლო დგას და გვინდა ამ ადამიანების შვილებისთვის ევროპა იყოს საერთო სახლი

გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიუ-ლი საქართველოს“ თავმჯდო-მარე **მარი ჩხიკვიშვილმაც** გააკეთა: *– ნაციონალური მოძრაობა ტრადიციულად დესტრუქციით ხასიათდება. მაშინ როცა იძახიან, რომ 3 ივლისის აქციას ზეპარტიულიაო და არ იმართება პოლიტიკური პარტიების მიერ, ნაციონალური მოძრაობა აქტიურად დადის მუნიციპალიტეტებში და ჩართულნი არიან ორგანიზაციულ საკითხებში. ოზურგეთმა მათ დიდი ხანია არჩევნების გზით უთხრა უარი, კარგად დაინახეს მათი რეალური სახე. ნაცები ტრადიციულად თავიანთი დესტრუქციული მეთოდებით ცდილობენ პროცესების პოლარიზებას. ისინი არიან ომის პარტიის წარმომადგენლები.*

გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე «ალიონით»

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ორგანიზებით „იდეათონი“ გაიმართა

ოზურგეთის ტექნოპარკში, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ორგანიზებით „იდეათონი“ გაიმართა. ლიდერთა სკოლისა და ორგანიზაციის პარტნიორი სკოლების „იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორიის“ წევრებმა **Canvas** ბიზნეს მოდულის საფუძველზე იმუშავეს საწარმოების მოდელირებაზე, ჩამოაყალიბეს 14 ბიზნეს იდეა და პროექტის დასკვნით ნაწილში, თავიანთი პრეზენტაციები წარუდგინეს პოტენციურ ინვესტორებს.

ღონისძიებას გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ქეთევან მოისწრაფეშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე,** მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროების ხელმძღვანელები, ბიზნესის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„იდეათონის“ მონაწილეები სხვადასხვა სახის სიმბოლური პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ელის პიზი: „ძალიან გამიმართლა, რომ საქართველოში მოვხდი“

და პედაგოგთა კავშირში, სადაც მე 2007 წლამდე ვიმუშავე. ვმონაწილეობდი პროექტებში, შეხვედრებში. ძალიან მომწონს აქაურობა და მეორედ ვესტუმრე ჩემს ძველ მეგობრებს.

—როგორია თქვენი ცხოვრების წესი, ურთიერთობები, სამოქალაქო აქტივობები...

—როცა კოლორადოში ვცხოვრობდი, ყველა მეზობელს ვიცნობდი და ვურთიერთობდი. ერთად აღვნიშნავდით დღესასწაულებს. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ჩემი მშობლები იქ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ. ამჟამად უნივერსიტეტის საცხოვრებელში ვცხოვრობ. უნივერსიტეტში ძალიან დაკავებული ვარ..ბინაში მისულს კი სამეზობლო ურთიერთობისთვის ნაკლები დრო მრჩება. თუმცა ისე არ წარმოიდგინოთ, არ ვურთიერთობთ. როგორც თქვენთან, იქაც არის ამხანაგობები, რომლებიც ზრუნავენ, რომ საცხოვრებელ კორპუსში იყოს ბევრი აქტივობები. მაგალითად, ქალაქის ისტორიის დღე, შობა, ახალი წელი და ა.შ. მაგალითად, ახალი წლის წინა დღეებში ბინის სადარბაზოებში ფერად განთებებს აწყობენ და სასიამოვნო გარემოში გიწევს გავლა...

—რადგან დღესასწაულებზე ვსაუბრობთ, როგორ აღნიშნავთ თქვენს ეროვნულ დღესასწაულს—დამოუკიდებლობის დღეს?

—ეს დღე დასვენების დღეა ქვეყანაში და სხვა დღესასწა-ულების მსგავსად აღვნიშნავთ. ოჯახებით ერთად ვიკრიბებით...

—როგორ ასწავლით უნივესიტეტში სტუდენტებს მედიის მიმართ დამოკიდებულებას?

—უნივერსიტეტში ჩვენ სტუდენტებს ვუხსნით, როგორ განასხვაონ კარგი მედიასაშუალებები ცუდისაგან. ტარდება გარკვეული კვლევებიც. ადამიანთა ნაწილი ენდობა ან არ ენდობა კონკრეტულ მედიასაშუალებებს. მთავარია სტუდენტებმა სწორად შეაფასონ შემდეგ ასეთი კვლევების შედეგები...

ესაუბრა
ნუგზარ ასათიანი

საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის შეხვედრა ჩოხატაურში

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეებთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მოდერატორი იყო საინფორმაციო ცენტრის გურიის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელი **ირაკლი პაპავა.**

მოწვეულმა ექსპერტმა, ჰიბრიდული ომების მკვლევარმა **დავით ძიძიშვილმა** ისაუბრა საინფორმაციო ომის თავისებურებებზე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის თანმდევ დეზინფორმაციასა და ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე. ყურადღება გამახვილდა დასავლური ღირებულებების მნიშვნელობასა და მედიაწიგნიერების უნარების გაძლიერებაზე.

შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

სოფელ კაპროვანში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

„სამუშაოები, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ვახორციელებთ – დღეს დავათვალიერეთ. პროექტის ბიუჯეტი 984 110 ლარს შეადგენს.

გარდა გზის რეაბილიტაციისა, აქ მოწესრიგდა წყლისა და კანალიზაციის სისტემა. ასევე, დამონტაჟდა გარე განათება,“– აღნიშნა, ოზურგეთის მერმა, **ავთანდილ თალაკვაძემ**

თბილისში სასმელი წყლის დანადგარის MUF-500 პრეზენტაცია გაიმართა

თბილისში მოეწყო ისრაელის მაღალტექნოლოგიური სასმელი წყლის დანადგარი NUF 500-ის პრეზენტაცია.

მოხდა დაბინძურებული წყლის გაფილტვრის დემონსატრაცია.

ისრაელის,სლოვაკეთის,იაპონიის საელჩოების, „მაშავ საქართველოს“ და გაეროს ბავშვთა ფონდის „Unicef“ მხარდაჭერით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში „„საქართველო შალომ კლუბი“ უკვე 2 წელია ახორციელებს პროექტს „სუფთა წყალი ბავშვებს“.

სკოლებში და საბავშვო ბაღებში მონტაჟდება ისრაელის კომპანია NUF FILTRATION მაღალტექნოლოგიური სასმელი წყლის გასაფილტრი დანადგარები.

დანადგარები მონტაჟდება იმ ობიექტებში, სადაც მოწოდებული ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე სასმელი წყალი დაბინძურებულია.

ამჟამად გურიის რეგიონში მონტაჟდება 74 ძვირადღირებული დანადგარი.

გასულ ხუთშაბათს მიღებული იქნა ისრაელიდან 18 ერთეული დანადგარი, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დამონტაჟდება.მანამდე 20 ერთეული დანადგარი დამონტაჟდა ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში.

მიმდინარეობს მუშაობა აჭარის რეგიონში პრობლემის მოსაგვარებლად.

პრეზენტაციას ესრებოდნენ ისრაელის ელჩი საქართველოში ბატონი **რან გიდორი** მაშავის ცენტრის დირექტორი ბატონი **გიორგი ჟლენტი** და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები, „შალომ კლუბების“ ხელმძღვანელები.

რა ხდება საფთიქო ქსელში და რამდენად გამართლებულია ელექტრონულ რეცეპტებზე გადასვლა

.მედიკამენტების გარკვეულ დასახელებებზე, რომლებიც მხოლოდ ელექტრონული რეცეპტების საშუალებით უნდა გაიცეს, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მოსახლეობას შორის, რადგან ამ დასახელებში შედის წნევის მარეგულირებელი მედიკამენტებიც კი. ისინი ამბობენ, რომ რიგ სოფლებში, სადაც ექიმი კვირაში რამდენიმე დღეს მოდის (სხვა სამსახურშიც არიან), ძნელია „ანაპრილინის“ ელექტრონული რეცეპტის , ან თუნდაც ფორმა №3-ის გამო 2-3 დღე დაელოდო, მით უმეტეს ზოგიერთ უბანში არც გამართული კომ-პიუტერი აქვთ და ინტერნეტის წვდომაზეც პრობლემებია. ბოლო მონაცემებით ჯანდაცვის სამინისტროსა და წამლების რეგულირების ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებული 900 აფთიაქიდან, მხოლოდ 60-ს აღმოაჩნდა ელექტრონული რეცეპტი, 500 ლარით 600 აფთიაქი დაჯარიმდა, აქედან ნაწილი განმეორებით...

—აფთიაქში უცნობი მამაკაცი შემოვიდა. გვითხრა ცუდად ვარ და წნევა მაქვს და ხომ არ გაქვთ წნევის წამალი „ანაპრილინიო“, მივეცით. ცოტა ხანში იგი ჯანდაცვის სამინისტროსა და წამლების რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად შემოვიდა და ურეცეპტოდ წამლის გაცემისათვის შესაბამისი ოქმი შემიდგინეს. ისინი შემეკითხნენ: —მიმიწვდებიდა თუ არა ხელი ელექტრონულ რეცეპტზე. მე მათ ვუთხარი, რომ მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პროგრამა მაქვს ჩატვირთული კომპიუტერში, არ მიმიწვდება ხელი— თქო.სასამართლო პროცესზე მოსამართლემ თანაგრძნობით მკითხა: —ასეთ პირობებში მიღირდა თუ არა აფთიაში მუშაობა. სასამართლომ ამ ეტაპზე გაფრთხილება მოგვცა — გვითხრა აფთიაქი „სალბის“მეპატრონემ **ნანი მჟავიამ.**

— ჩემთანაც უცნობი მამაკაცი შემოვიდა და „სუპრასტინის“ ამპულა ითხოვა. მითხრა: —ალერგიული ვარ, ფუტკარმა მიკბინადა შეიძლება ცუდად გავხდეო. მდგომარეობის გათვალისწინებით რეცეპტის გარეშე მივეცი.ცოტა ხანში აფთიქში წამლების რეგულირების სააგენტოსა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად შემოვიდა ის მოქალაქე და შესაბამისი ოქმიც შეგვიდგინეს. ოზურგეთის სასამართლომ 500 ლარით დაგვაჯარიმა —გვითხრა აფთიაქი „იბერი ფარმას“ მენეჯერმა **მაგდა ქილიფთარმა.**

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა მსგავსი შემთხვევა აფთიაქ . . დაფიქსირდა.სასამარლომ აქ გაფრთხილება იკმარა.

მაგდა ქილიფთარის თქმით, წელს, 22 თებერვალს გამოიცა ბრძანება „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმავცეტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალებების) ფორმა №3 ელექტრონული რეცეპტის ბრუნვის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 ივლისის №01-29/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“

ამ ბრძანებით მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმავცეტული პროდუქტების (სამკურნალო საშუალებების) ფორმა №3 რეცეპტი გამოიწერება ელექტრონულად. აღნიშნული ბრძანება ძალაში პირველი მარტიდან შევიდა.

რამდენიმე ადგილობრივი აფთიაქის მეპატრონემ განაცხადა, რომ მათ არ მიუწვდებათ ხელი ელექტრონულ რეცეპტებზე, რადგან სამედიცინო დაწესებულებები მათ პაციენტებს „ავერსში,“ **PSP** *და „ფარმადეპოს“ ქსელურ აფთიაქებში ამისამართებენ.*

შეკითხვაზე, რა სახის მედიკამენტები შეუძლიათ ელექტრონული რეცეპტის გარეშე გასცენ, გვიპასუხეს, რომ გარკვეული დასახელების წამლები (გრიპის საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებლები და ა.შ) გაიცემა ელექტრონული რეცეპტის გარეშე.

არსებული ინფორმაციით, მედიკამენტების ელექტრონულდ გამოწერაზე პრობლემები აქვთ სტომატოლოგიურ კაბინეტებს, რომელთა უმეტესობას კომპიუტერული ტექნიკა არ აქვთ.

ამ შეზღუდვის გამო, საყვედურობენ მოქალაქეებიც.

—ვიცი, ექიმმა უნდა დაგვინიშნოს მედიკამენტები და ასეც ვიქცევი. ხანდახან ვერ შევიძინე ერთი თვის მარაგი. სოფლის ექიმი კვირაში 2-ჯერ თუ დადის. ვიცი რა მჭირდება. აფთიაქში უბრალო წნევის წამალიც არ მომცეს — შემოგვჩივლა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

გაზეთი „ალიონი“ აღნიშნულ თემაზე ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკის ამბულატორიული სამსახურის ხელმძღვანელს **მანანა კოპლატაძეს** *ესაუბრა:*

—ცვლილება მე-2 ჯგუფის ფარმაცევტულ პროდუქტზე ძალაშია 2022 წ. 1 მარტიდან. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პირი /დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირი (გარდა სოფლის ექიმისა) ვალდებულია პაციენტისათვის დანიშნული მეორე ჯგუფს მიკუთნებული ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) გამოწეროს ელექტრონულად. გამონაკლისის სახით, სოფლის ექიმებს ეძლევათ რეცეპტის მატერიალური ფორმით გამოწერის შესაძლებლობა. მაგალითად, მეორე ჯგუის მედიკამენტებს მიეკუთვნება ანტიბიოტიკები, ანტიდეპრესანტები, ჰორმონალური საშუალებები, გულსისხლძარღვთა სისტემის, ანტიჰიპერტენზიული საშუალებები და სხვა.

არსებობს სახელმწიფო პროგრამული, გარკვეული სახის მედიკამენტები,ლიმიტირებულად, რომლითაც სარგებლობენ საპენსიო ასაკის, შშმ პირები, სოციალურად დაუცველები და 0-6 წლამდე ასაკის პირები (ქრონიკული: გულსისხლძარღვთა, სასუნთქი გზების დაავადებების, ენდოკრინოლოგიური და ნევროლოგიური მედიკამენტები) იწერება ელექტრონულად, უფასოდ შეუძლიათ შეიძინონ 1 დან 3 თვემდე მარაგის.

მედიკამენტები ელექტრონულად იწერება საერთაშორისო დასახელებით, (შესაძლებელია ერთიდა იგივე მედიკამენტს სხვადსხვა ქვეყანაში სხვადასხვა დასახელება ჰქონდეს, ასევე არის ფასთა სხვაობა,ფარმაცევტმა შესარჩევად უნდა შესთავაზოს მომხმარებელს)

ელექტრონული რეცეპტის გარეშე გაიცემა: ანალგეზიური და ანტიპირეტული-სიცხის დამწევი სამკურნალო, ანთების საწინააღმდეგო და ანტირევმატული საშუალებები. და სხვა. საჭიროებისას, ურეცეპტოდ გაიცემა გადაუდებელი დახმარების მედიკამენტები.

რაც შეეხებასარეცეპტო ფორმა №2 - ზე გამოსაწერი მედიკამენტები, იწერება ელექტრონულად, თუ გამოწერის დროს არის ტექნიკური ხარვეზი, მედიკამენტი იწერება ქაღალდმატარებელზე მატერიალური სახით, რომ არ მოხდეს პაციენტის დაყოვნება. შემდეგ ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებისას, 24 საათის განმავლობაში ხდება რეცეპტის ელექტრონულად ატვირთვა.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება მედიკამენტები, რომელთა არასათანადო გამოყენებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას. და არ უნდა იქნას მიღებული ექიმის დანიშნულების გარეშე —გვითხრა მანანა კოპლატაძემ.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გამოსცა

2022 წლის 27 ივნისს, გარემოს დაცვის სააგენტომ მდინარე ბახვისწყალზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დაგეგმილი ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გამოსცა. ბრძანება, 2022 წლის 28 ივნისს აიტვირთა სააგენტოს ვებ პორტალზე. იხილეთ ბმული: **https://nea.gov.ge/Ge/GZSH/144**

„დღეს მივიღეთ გარემოსდაცვითი დაგაწყვეტილება, რომელიც გვანიჭებს უფლებას და შესაძლებლობას, თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდეთ. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ, რეალურად დიდი შრომა გავწიეთ, აქამდე მოსასვლელად. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყო პროექტში. მუშაობის სტილი, კომუნიკაციების ფორმები, გამჭვირვალობა, ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან დიალოგის რეჟიმში ყოფნა, ჩვენს მიერ არჩეული ხაზია, რომელიც ბუნებრივია გაგრძელდება. დარწმუნებული ვარ,მშენებლობის ფაზასაც დიდი წარმატებით გავართმევთ თავს და დაგეგმილ ვადებში ავამუშავებთ ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც ევროპული სტანდარტებით აგებული ერთ-ერთი საუკეთესო სადგური იქნება მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამა თავიდან ბოლომდე აგებულია საერთაშორისო ექსპერტებისგან მიღებულ რეკომენდაციებზე, ასევე, პასუხობს ადგილობრივად არსებულ საჭიროებებს, რომელიც მოსახლეობის გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამუშავებისას გამოვლინდა.“ — განაცხადა მიხეილ ნიბლაძემ, „სი-სი-ეიჩ ჰაიდროVI“ -ის დირექტორმა.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა 2022 წლის 10 თებერვალს ჩოხატაურსა და ოზურგეთში, 11 თებერვალს კი მთისპირსა და ჩხაკაურაში მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში გაიმართა. საჯარო განხილვების დროს პროექტს უპრეცედენტოდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ადგილობრივი (მთისპირის თემის და ჩხაკაურას) მაცხოვრებლებისგან.

დაფინანსებული ფართი

გურიის რეგიონში სოციალური პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეები მედიკამენტებს ფასდაკლებით შეიძენენ

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მერიების ჩართულობით, რეგიონში მცხოვრები მუნიციპალური სოციალური პროგ-რამით მოსარგებლე მოქალაქეები მედიკამენტებს ფასდაკლებით შეიძენენ.

სამივე მუნიციპალიტეტის მერმა ფარმაცევტულ კომპანიებთან ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რო-მელიც მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას ითვალისწინებს და მათ კვირის ნებისმიერ დღეს მედიკამენტების შეძენა ფასდაკლებით შეეძლებათ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შემდეგ საფთიაქო ქსელებთან გაფორმდა: „ავერსი - ფარმა“, „პსპ ფარმა“, „იმპექსფარმი“ და სს „გეფა“ (ფარმადეპო, ჯი პი სი);

კურორტ ბახმაროში ლედ განათების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები დაიწყო

2022 წლის 1 ივლისს, კურორტ ბახმაროს ცენტრალურ ქუჩაზე 4.5 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთზე ენერგო ეფექტური ლედ განათების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები დაიწყება. სამონტაჟო სამუშაოებს ახორციელებს შპს გურია ბიზნეს ჯგუფი 01. სამუშაოები ივლისის თვეში იწყება და 2022 წლის სექტემბრის ბოლომდე გასტანს.

პროექტი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამასა და კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის შორის 2021 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტის ფარგლებში ხორციელდება და „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ სოციალური პროგრამის განხორციელების ნაწილს წარმოადგენს.

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამისა და კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის პარტნიორობა გულისხმობს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის წინსვლის ხელშეწყობას და ამ მიმართულებით, მდგრადი შედეგების უზრუნველყოფას.

კურორტ გომისმთაზე ასვლა წელსაც მხოლოდ შაბათ-კვირას იქნება შესაძლებელი

კურორტ გომისმთაზე ასვლა, როგორც შარშან, ამ ზაფხულსაც მხოლოდ შაბათ-კვირას იქნება შესაძლებელი. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, განსაზღვრულია ავტოტრანსპორტით გადაადგილების საათებიც. ამის მიზეზი კურორტთან მისასვლელ გზაზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებია.

16 ივლისიდან ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომის მთის გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვები იქნება შაბათს, დღის 15:00 საათიდან ორშაბათის 09:00 საათამდე. კვირის სხვა დღეებში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

გადაადგილება შეზღუდული იქნება 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომის მთის გზაზე დაახლოებით ერთი წელია ახალი საავტომობილო გზა კეთდება, ამისთვის 20 მილიონამდე ლარი იხარჯება. სამუშაოებს კომპანია „ნიუ როუდი“ ახორციელებს.

ამ დროისთვის ამავე გზის 12-ე და 32-ე კმ მონაკვეთზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი სტიქიის შედეგად წარმოქმნილი მეწყრულ-ეროზიული პროცესების შემაკავებელ ღონისძიებებს ახორციელებს.

გომისმთაზე მოხვედრა შესაძლებელია შუახევიდანაც, თუმცა ამ გზის რეაბილიტაცია ამ ეტაპზე არ არის დაგეგმილი.

პოეტ მარიამ ბაქანიძის შემოქმედებითი საღამო ლანჩხუთში

ლანჩხუთში პოეტ მარიამ ბაქანიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

საღამოზე მისი არაერთი ლექსი გაჟღერდა. პოეტმა რამდენიმე ლექსი თავადაც გააცნო მსმენელს.

-„გურიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონის შემოქმედება ძალიან დიდ სი-თბოსა და სიყვარულს გვიტოვებს. მინდა წარმატებები ვუსურვო ქალბატონ მარიამს, ის ნამდვილად იმს-ახურებს ყოველგვარ საუკ-ეთესოს“- აღნიშნა ღონისძიების ორგანიზატორმა **ხათუნა ვაშალომიძემ.სდ**

შემოქმედებით საღამოს ლანჩხუთის მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

ლევან დავითაშვილი - პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ საშუალებით ჩვენ ვქმნით მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრად კატეგორიას

„პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ თანადაფინანსებულ ერთ ლარზე ინვესტირებულ თანხაზე სახელმწიფოს საგადასახადო შემოსავლების სახით 1.6 ლარი პირველივე წელს უბრუნდება. ეს მაჩვენებელი აჩვენებს, რომ სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს ასეთი ტიპის ინტერვენცია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად“, – ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** საგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების ეკონომიკური ზეგავლენის ანგარიშის პრეზენტაციისას განაცხადა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ღონისძიებას პროგრამის ბენეფიციარები, ბიზნესსექტორის და საერთა-შორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. ლევან დავითაშვილმა სიტყვით გამოსვლისას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს როლსა და მის მიერ გამოყენებული მექანიზმების მნიშვნელობასა და ეფექტიანობაზე ისაუბრა.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო საგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამების გავლენის შეფასების შედეგები, რომლებიც ეყრდნობა ბოლო 5 წლის მონაცემებს - ბენეფიციარების ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზს. შეფასებისთვის შეირჩა ინდუსტრიული ნაწილის 292 ბენეფიციარი. საგენტომ GIZ-ის და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა ეკონომიკური გავლენის შეფასების ჩარჩო და წარმოადგინა ის შედეგები და ეფექტი, რაც საგენტოს პროგრამებს ჰქონდა გასული პერიოდის განმავლობაში.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს არ არის გაკეთებული მხოლოდ ჩვენი შიდა შეფასებებით - ეს არის GIZ-ის ექსპერტების ჩართულობით გაკეთებული ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება იმ პროექტების, რომლებსაც „აწარმოე საქართველოში“ აკეთებს. სულ არის ხოლმე საუბარი, თუ რამდენად ეფექტიანია, რა წვლილი შეაქვს ეკონომიკაში და რამდენად შეიძლებოდა ამ პროგრამების გარეშე მიგვეღო იგივე შედეგი - ეკონომიკური ზრდა, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატება. ამ კვლევამ კონკრეტულად გამოაჩინა, თუ რამდენად განსხვავდება პროგრამაში მონაწილე კომპანიების შე-დეგები ზოგადად საშუალო სექტორის შედეგებისგან, რამდენად უფრო მდგრადია, რამდენად უფრო სწრაფად იზრდება მათი შემოსავლები და ასევე რამდენად მნიშვნელოვანია საბიუჯეტო თვალსაზრისითაც“, - აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

რაც შეეხება ინდუსტრიული ნაწილის სესხის/ლიზინგის პროცენტის სუბსიდირების ნაწილის ეფექტს, ანალიზის თანახმად, 1 ლარის თანადაფინანსების შედეგად შემოსავლების ნამატმა შეადგინა 15.3 ლარი, კონტრიბუცია მთლიან შიდა პროდუქტში - 4.5 ლარი, ხოლო ერთი წლის განმავლობაში გადასახადებმა ბიუჯეტში 1.6 ლარი. დღეისთვის საგენტოს მიერ მხარდაჭერილი პროექტების ჯამურმა ინვესტიციამ 3 მილიარდ ლარს გადააჭარბა, შეიქმნა 58 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილი.

როგორც ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მაჩვენებლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში დღესდღეობით არსებული ორნიშნა ეკონომიკური ზრდის ფონზე, რათა სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმები ეფექტიანად იყოს გამოყენებული არსებული პოზიტიური ეკონომიკური ტენდენციების შესანარჩუნებლად.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვქმნით მცირე და საშუალო ბიზნესის მდგრად კატეგორიას, რომელიც ყველაზე მოწყვლადია იმისთვის, რომ მათ ეკონომიკურ შოკებს გაუძლონ და წარმატებულები იყვნენ. რაც შეეხება დასაქმებას - 58 000 ადამიანზე მეტია დასაქმებული „აწარმოე საქართველოშის“ მხოლოდ იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებიც გაანალიზებულია“, – აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

მოცვის ფასი განახევრდა - რა ღირს ქართული საექსპორტო მოცვი

მოცვის ფასი თვის დასაწყისთან შედარებით განახევრდა. 24 ივნისის მდგომარეობით, საქართველოში 1 კგ. მოცვის ღირებულება წინა კვირასთან შედარებით, საგრძნობლად, 4-5 დოლარამდე დაეცა, მაშინ, როცა, EastFruit-ის ცნობით, ივნისის დასაწყისში ადგილზე ფერმერებს თითო კილოგრამ მოცვში 7-დან 8 დოლარამდე უხდიდნენ.

როგორც ადგილობრივი ექსპორტიორები აცხადებენ, ამის მიზეზი ქართული მოცვის მთავარ ბაზარზე, რუსეთში ფასების ვარდნაა, რაც საქართველოდან და სხვა ექსპორტიორი ქვეყნებიდან მიწოდების გაზრდამ გამოიწვია. ამასთან, მიმდინარე კვირაში მოცვის გაიაფებას მასობრივი კრეფვის დაწყების გამოც მოელოდნენ.

იმის მიუხედავად, რომ დასავლეთ საქართველოში წვიმიანი ამინდები მოსავლის დროულ აღებას ხელს უშლის, EastFruit წერს, რომ საქართველოში მოცვის მოსავლის სეზონი აქტიურ ფაზაშია.

ქართველი ფერმერები ეჭვობენ, რომ მყიდველები ფასის ხელოვნურად დაწევას ცდილობენ, რადგან მისი ვარდნა მეტად მოკლე დროში მოხდა. 1 კგ. მოცვის ფასი 8-დან 4 დოლარამდე მხოლოდ ერთ დღეში დაეცა, რაც ფერმერებს აფიქრებინებს, რომ ეს სპეკულაციაა. რაკი მოცვი მეტად მალფუჭებადი კენკრაა, ბევრი მცირე ფერმერი, ვისაც მაცივარი არ აქვს, მოსავალს იაფად ყიდის. თუმცა, პორტალის ცნობით, არიან ისეთებიც, ვისთვისაც ფასი მოცემულ დღეს მიუღებელია, გაყიდვას არ თანხმდება და თავის მოსავალს მაცივარში ინახავს, რომ სხვა დროს უფრო მაღალ ფასად გაყიდოს.

კომპანია AgriTouch-ში EastFruit-ს განუცხადეს, რომ ფასების კლება მიწოდების ზრდამ გამოიწვია. კომპანია მოცვის ექსპორტს, ძირითადად, სპარსეთის ყურის ქვეყნებში ეწევა, თუმცა ფასების მიმდინარე კლებას რუსულ ბაზარზე საქართველოდან, ბელარუსიდან და სერბეთიდან მოცვის ჭარბ მიწოდებას უკავშირებს.

პორტალის მონაცემებით, 2021 წლის ივნისსა და ივლისში რუსეთმა ყველაზე მეტი, 850 ტონა მოცვი საქართველოდან, 551 ტონა სერბეთიდან, ხოლო 426 ტონა მოცვი ბელარუსიდან შეიტანა.

წელს უამინდობის გამო მოცვის სეზონი საქართველოში დაგვიანებით დაიწყო.

ეკატერინე გურიელის მარტვილობა

2. თუ დედოფალი გაჯიუტდებოდა და მემკვიდრესთან ერთად ოსმალეთში გადავიდოდა, მაშინ გურიის სამთავრო სამუდამოდ უნდა გაუქმებულიყო და იგი რუსეთის ნაწილად გამოცხადებულიყო, როგორც იმერეთი.

მოგვიანებით ეს განხორციელდა კიდეც.

მალე რუსეთის მდგომარეობა ფრონტზე საგრძნობლად გაუმჯობესდა და გენერალმა პასკევიჩმა, ახალციხის დაპყრობის შემდეგ, გურიის სრული ანექსია გადაწყვიტა.

ამ ამბავმა დედოფლის ყურამდე მიაღწია. იცოდა, რომ მას, მის მემკვიდრესაც რუსეთს გადაასახლებდნენ და სამთავროს გაუუქმებდნენ. შეეცადა დრო მოეგო, რათა თავისი ერთგული ხალხით ოსმალეთში გადასულიყო და იქედან განეგრძო ბრძოლა.

ამ მიზნით, დედოფალმა პასკევიჩს არა მარტო შერიგება შესთავაზა, არამედ ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლა და ბათუმ-ქობულეთ-ჩაქვის დაკავება აღუთქვა. პასკევიჩი დედოფალს არ ენდობოდა, მაგრამ ამ წინადადებაზე უარი არ უთქვამს. ორ კვირაში სოფიოს ბათუმ-ქობულეთ-ჩაქვი უნდა დაეკავებინა, თუ არა, გესსე გურიაში ჯარს შეიყვანდა და გურიას იარაღით დაიპყრობდა.

მთავრინა სოფიომ ეს დაპირება, რა თქმა უნდა, არ შეასრულა. ის, თავისი ერთგული ხალხით, გადავიდა მაკვანეთში, რომელიც ოსმალეთის საზღვართან ახლოს იყო. თავისი ქონება, არქივი გაიტანა. გესსე დედოფალს წერდა, ჯარი გურიაში შემყავს, რათა დედოფალს გვერდში დავუდგე და დავეხმარო. ამასთან, „მოკავშირე“ დედოფალს შეხვედრას სთხოვდა. დედოფალმა დესპანი მიიღო და შეუთვალა, რომ მზადაა მოსალაპარაკებლად და გესსე თავის სასახლეში დაიბარა ოზურგეთს.

2 ოქტომბერს გესსე ოზურგეთისკენ დაიძრა, ვითომდა დედოფალთან მოსალაპარაკებლად. აქ მას აცნობეს, რომ დედოფალი მემკვიდრით და უფროსი ასულით, თავისი ერთგულებით სწრაფად ოსმალეთს გადასულიყო, თან წაეღო ლიხაურისა და ასკანის ციხეებში დაგროვილი ქონება. გესსემ დაიკავა ასკანისა და ლიხაურის ციხეები, ოზურგეთი.

განაწყენებული დედოფალი 5 ოქტომბერს წერს არზრუმის სერასკერს: „მინდოდა ჩემი თავი და ჩემი ქვეყანა ცათა სწორის ხელმწიფისათვის მემსახურებინა და სისხლი დამენთხია და ძალიანაც ვეცადე, რომ თქვენი ძალა მეშოვნა, მაგრამ არ ჰქნა დრომ... გარდა ამისა, ეს ერთი წელიწადია ჩემი თავი და ჩემი ქვეყანა შევუნახე ხელმწიფეს, რადგანაც მე ძალა ვეღარ დავინახე და ურუსმა იძალა. ამისმა მიმხედველმა მე ჩემმა ქვეყანამ სრულიად მიღალატეს და მეცა და ჩემს შვილს ხანაც ურუსს გვაძლევდნენ, მაგრამ შევიტყვე, გამოვიქეც და წამოვედი მეცა და ჩემი შვილიცა, რომელმაც არ მიღალატა, ჩემთან წამოვიდნენ და ზოგნი მერმე გაქცეული მოვიდნენ აქ, ჩურუქსუს გეახელი და იქიდამაც საჩქაროთ უნდა წავიდე. ჩურუქსსაც მოდის რუსები... ასე უმოწყალოდ ნუ დამაგდებ, საჩქაროდ მომიკითხე, მე ტრაპიზონისაკენ გეახლები. ჩემი საცა რამე მქონდა, ციხეებში იყო და ყოველივე დამეკარგა. თქვენმა მოწყალებამ იცის, რასაც მალე და საჩქაროთ მომნახამ.“ (ირაკლი ბარამიძე).

გესსეს ცნობით: სოფელ ლიხაურში დედოფალს დაუტოვებია სამი ქალიშვილი, როგორც ჩანს, ვეღარ მოუსწრია მათი იქედან გაყვანა. ეს ბავშვები იმყოფებიან ნაგომრის მთავრის სვიმონ გუგუნავას ოჯახშიო. დედოფალს ოსმალეთში გაჰყოლიან: დავით მაჭუტაძე, დავით გურიელი, გიორგი თავდგირიძე, ლაზარე ნაკაშიძე; ერისთავები: დავით, კონსტანტინე-და ალექსანდრე, ქაიხოსრო თაყაიშვილი; თავართქილაძენი: ადალო და ბიჭიკო; ჯაყელნი: ვახტანგ და გოგია; კვიტაიშვილები: როსტომ და ბახუტა; პირადი მხლებელნი და ფარეშნი, სულ 55 სული“ (თამარ პაპავა, „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, გვ. 367).

ქობულეთში გადასული დედოფალი ერთგულ გურულებს მოუწოდებდა და სთხოვდა, საქართველოს ღირსებისთვის და გურიის გადარჩენისთვის თავი გაეწირათ. მან კინტრიშის ახლოს თავი მოუყარა საქართველოს აღდგენისა და გაერთიანებისთვის მებრძოლებს, ერეკლესა და სოლომონ მეფის დროშაზე შეფიცულთ. „ჟამი დამდგარა „ახლა ან არასოდეს“, გწამდეთ, ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სიმართლე და სამართალი ჩვენს მხარეზეაო“, — მოუწოდებდა სოფიო და გურიის დროშას ყიჟინით ჯარში დააფრიალებდა. მოგვიანებით, როცა დედოფალმა შეიტყო, რომ მის საყვარელ გურიას, სახელოვანი გურიელების შემდეგ, ვიღაც კულიაბკა მართავსო, ხალხის გულის გასამხნევებლად 1829 წლის თებერვალში ოსმალეთიდან გურიას მხურვალე მოწოდებით მიმართა, რომ ის ჯანმრთელად იმყოფება, რომ მას ოსმალეთის მთავრობა დიდი პატივისცემით ეპყრობა. იგი ხალხს პირდებოდა, მოკლე ხანში ისევ დაბრუნდები გურიაშიო.

ნოემბრისათვის რუსეთის ჯარმა ყველა ციხე დაიკავა. დედოფალი სოფიო, რომელსაც უკვე არც ქობულეთში დაედგომებოდა, იძულებული გახდა ტრაპიზონს გადასულიყო. თუმცა, დანებებასა და ბრძოლაზე ხელის აღებას არ აპირებდა. ოსმალეთის მთავრობამ დევნილ სოფიოსა და დავით გურიელს მატერიალური დახმარება აღმოუჩინა და ხელფასებიც დაუნიშნა 5 000 ყურუშის ოდენობით.

ადრიანოპოლის ზავით (1829 წლის 2 სექტემბერი) დედოფლისთვის ყველაფერი დამთავრდა. მისმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა. მიხვდა, რომ მის საყვარელ გურიას ვეღარ ნახავდა. მის მდგომარეობას ასე აღწერდნენ: „იგი თვალცრემლიანი იხუტებდა თავის მემკვიდრეს — დავითს. მისი ერთგული დავით მაჭუტაძე კი, რომელიც ყოველთვის ბრძნულ რჩევებსა და გამამხნევებელ სიტყვებს ეუბნებოდა, ახლა დუმდა“. ზავის დადებიდან რამდენიმე დღეში, 7 სექტემბერს გურიის დედოფალი პლატანაში (ტრაპიზონთან ახლოს) გარდაიცვალა. მასზე ამბობდნენ: „დედოფალმა სოფიომ, მთავრის გარდაცვალების შემდეგ, გურიის ღირსების დროშა ხელში აიღო, უძლიერეს მტერს არ შეუშინდა, თავისი ერთგული გურულებისთვის სიცოცხლე არ დაიშურა და ლტოლვილობაში დალია სული“.

ხანეფენდი

დედოფალ სოფიოს ოსმალეთში ცხოვრებისა და ყოფის შესახებ გაზეთმა „დროებამ“ 1909 წლის 26 თებერვალს გამოაქვეყნა ემილ-ეფენდის „წერილი ოსმალეთიდან“. როგორც წერილის ავტორი წერს, „სოფელი პლატანა მდებარეობს 12–13 ვერსზე ტრაპიზონიდან და აქ არის პატარა ბაზარი, 60-მდე დუქანი, სოფელში 200–300 მოსახლე ოსმალო და ბერძენია. აქვე ცხოვრობს მაჰმადიანი ქართველი მოხუცი ოსმან ფაშა თავდგირიძე (ალი ფაშას ძმა) და 14-მდე მოსახლე მეგრელიძე და მჟავანაძე. ესენი ქობულეთიდან გადმოსახლებულან ბათუმის აღების შემდეგ. ოსმან ფაშას გზაზე შევხვდი და იქ გავეცანი. ჩემს თარჯიმანს დიდხანს ელაპარაკა თათრულად. მე ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი:

— ქართულად ხომ იცი?

— როგორ არ ვიცი, — შემომძახა, თითქოს ეწყინა, ეს როგორ დამწამეო, — მამაშენს და შენს სახლიკაცებს ყველას ვიცნობდი და თქვენს ოჯახშიც ვყოფილვარ, — დამიწყო საუბარი ოსმან ფაშამ.

შემდეგ ავტორი გადმოგვცემს:

„პლატანაში, ბერძნების უბანში დასახლებულა გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V მეუღლე სოფიო. მას შემდეგ, რაც იგი გურიიდან გამოქცეულა, ცხოვრობდა აქ და აქვეა დასაფლავებული. საფლავი მიხეილ-ანგელოზის ეკლესიის გალავანშია, ჩრდილოეთის მხარეს. ზედ იმნაირივე ეკვდერი ადგია, როგორც ტრაპიზონში სოლომონ მეფეს, მხოლოდ ზევით გუმბათის ცას თაღი არ აქვს. ეკვდერი ამოყვანილი და მოფენილია ლილის ქვით. კუთხეებში ოთხი თლილი ქვის თაღი და რკინის ზოლები, ერთიმეორეზე გადაბმული. ზევიდან კრამიტით არის დახურული. წარწერა ბერძნული ყოფილა, მაგრამ დღეს აღარა სჩანს, რადგან ეკვდერი მერე რამდენჯერმე შეუღებიათ. ახლაც, ყოველი აღდგომის წინა დღეებში ათეთრებენ და ღებავენ, როგორც გადმომცა ამ ეკლესიის მღვდელმა ბლაღოჩინმა ანტონ ნიკიფორიდმ, ეკვდერს განჯინა აქვს ხატისთვის.

ეკლესიის მახლობლად, სამხრეთით არის ის სახლი, სადაც გურიის დედოფალი ცხოვრობდა“. და როგორც ავტორი აღწერს, ეს ქვის სახლი თათრულ სტილშია აშენებული და ხუთი ოთახი აქვს. სახლი დედოფალს უყიდია, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, იგი ამალის ერთ კაცს, სახელად-გოგიას დარჩენია. გოგიას აქაური ბერძენი ქალი ჰყოლია ცოლად. ავტორს ემილ-ეფენდისათვის გამოუკითხია თუ ვინ იყო გურიის დედოფლის მომსწრე. ასეთი ბევრი აღმოჩენილა და მათ შორის 90 წელზე მეტი ხნის ბერძენი კუშოღლი. როცა ამ პიროვნებას გაუგია საქართველოდან ჩამოსულის ეკლესიაში მისვლა, ის თავისი ფეხით მისულა იქ. 72 წლის ბერძენმა ქალმა სოფია ბოსტან-ოღლმა ავტორს უთხრა, რომ დედოფლის გარდაცვალებისას შვიდი წლის ვიყავიო. ავტორმა გაიცნო გურიის დედოფლის მონათლული, 60 წლის პალასა ესპერიდი და სხვები და აი რა გამოირკვა:

„დედოფალს დიდი ამალა ჰხლებია, ასე 60 კაცამდე. ვინ იყო მათში უფროსი და ვინ გახსოვსმეთქი რომ ვკითხე, ჩამომითვალეს: ბესიკო, ესიკა, დალაქო, გოგია, ალექსანდრე, ქრისტიფორე, ივანიკა, ადალო, ამნასია, ლისა. ადალო დედოფლის პირველი კაცი იყოო, ქრისტიფორე — ექიმი, გოგია — მზარეული. ივანიკა ჭამისა და სმის მეტს ბევრს არაფერს აკეთებდა, ხელში სულ თოფი ეჭირა“.

შემდეგ ავტორს აქაურებმა უამბეს, რომ დედოფალს ხანეფენდის ეახლნენ, მას თან ჰხლებია ნა-თესავებიც, მათ შორის ერთი გურიელი (როგორც ავტორი ფიქრობს, იგი დათა (დავით) გურიელი იყო, პოეტ მამიასა და ჯამბაკურ და ტელემაკ და ვარდენ გურიელების მამა). დედოფლის ამალის წევრები ყოველდღე თოფის სროლაში ვარჯიშობდნენ. ავტორს უჩვენეს ეს ადგილი.

„ჩონგურის კარგი დაკვრა ივანიკამ იცოდა, ხანეფენდი ხშირად აკვრევინებდა ჩონგურს და პატარა ბოვშებს გვაცეკვებდა. ცეკვა მაშინ ძალიან ვისწავლე და დღესაც ვიცი, — თქვა ერთმა, მეორემ კი დაუმატა: ხანეფენდი ჩვენი დიდი პატრონი იყო. ეს ეკლესია ძრიელი პატარა იყო, მან გაადიდებინა და ზევით გუმბათი დაადგმევინა. ის რომ არა, ვინ გაბედავდა იმ დროში ეკლესიაზე გუმბათის და ჯვრის დადგმას — თურქები ნებას არ გვაძლევდნენ. მოვიდნენ თურქები გუმბათის დასანგრევად, გამოვიდა თვით ხანეფენდი, გაგვიძღვა წინ და თურქებმა ვერაფერი გაბედეს, წავიდნენ უკან. ხანეფენდის დიდი ხათრი და მორიდება ჰქონდათ, ჩვენი ხვანთქარი ჯამაგირს აძლევდა. თვითონ ტრაპიზონის ვალი ეახლებოდა ყოველი თვეზე და ჯამაგირს მოუტანდა ხოლმე. ეს ეკლესია მან დიდად გაამშვენიერა ხატებით და ნივთებით“. საქართველოდან ჩასულ ემილ-ეფენდის აჩვენეს დედოფლის მიერ შეწირული მშვენიერი ოქრომკედით ნაკერი და ხუთი ვერცხლის კანდელი.

მოსაუბრეები განაგრძობდნენ დედოფლის შესახებ ამბავს.

„ერთხელ აქაური კაცები, ოსმალები და ბერძნები დაიჭირეს და საპყრობილეში ჩაყარეს. ქალებმა შეატყობინეს ხანეფენდის და შემწეობა სთხოვეს. ხანეფენდიმ მაშინვე გაგზავნა თავისი კაცები ესიკა და ივანიკა, გაატანა თავისი ნიშანი და უბრძანა, უთხარით, ახლავე გამოუშვან. არ გამოუშვებენ, მოკალით იგი უფროსებიო. მაშინვე გაათავისუფლეს ტყვეები“.

როგორც ემილ-ეფენდის უამბეს დედოფალმა ბერძნული ლაპარაკი აქ შეისწავლა. „მის დასაფლავებას აუარებელი საზოგადოება დაესწრო, მთელი ტრაპიზონი აქ იყო. მისი ამალის ქალი და კაცი საშინლად კიოდნენ, იგლეჯდნენ თმებს და თავში იცემდნენ. ცხენები შავი ძაძით დამოსეს.“ სამწუხაროდ, დღეს სოფიო გურიელის საფლავი დაკარგულია.

ეკატერინე უცხოეთში

ტრაპიზონის ფაშამ დედოფალი სოფიო და მისი ამალა განათავსა ტრაპიზონთან ახლოს, სოფელ პლატანაში. მთელ ოსმალეთში სილამაზით სახელგანთქმული სოფიოს და განსაკუთრებული სიმშვენიერით მოსილი ეკატერინეთი მოხიბლული ოსმან ფაშა არაფერს ზოგავდა მათ პატივსაცემად. მთავრინამ კარგად იცოდა ოსმან ფაშას ასეთი „კეთილი განწყობილების» მიზეზები, ამიტომ, პატივს სცემდა რა საკუთარ ღირსებას, კარგად იჭერდა თავს ფაშას მიერ შემოჩენილ საამისოდ სპეციალურად დახელოვნებულ პირთა მახეებისგან. ოსმალეთის ომის წაგებამ იმედი დაუკარგა სამშობლოში დაბრუნებისა. სოფიოს ტანჯავდა მწუხარება, რომ მან სამშობლოდან წამოიყვანა შვილები; ნაცვლად სამშობლოში დაბრუნებისა, საქმე სიცოცხლისა და ღირსების დაკარგვისკენ მიემართებოდა. ასეთ მტანჯველ და განსაცდელ მომენტში, სოფიო პლატანაში 1829 წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა (ფიქრობენ, რომ ეს ხელოვნურად იყო მოწყობილი).

დავითი და ეკატერინე, უმფარველოდ, უცხო ქვეყანაში, სხვა სარწმუნოებისა და ზნეობის ხალხში ობლად დარჩნენ. ახლა ბავშვების იმედი იყო დავით მაჭუტაძე, რომელსაც თავისი გეგმები ჰქონდა: ძლიერი სულთნის ეკატერინესთან დაქორწინებით მოელოდა გურიისთვის მრავალ სარგებელს და იმედს.

ეკატერინეს ტანჯვა-წამება

ეკატერინე ბატონიშვილის ოსმალეთში ემიგრაციის დროს ოსმალეთს მართავდა სულთანი მაჰმუდ II (1808-1839 წწ.), რომელსაც განზრახული ჰქონდა ეკატერინეს ცოლად შერთვა. სწორედ აქედან დაიწყო ეკატერინე ბატონიშვილის ენით აუწერელი ტანჯვა-წამება. ოსმან ფაშას ბრძანებით, ბავშვები სტამბოლში წაიყვანეს. 16 წლის ეკატერინე იშვიათი სილამაზის ყოფილა. მისი თანმხლები აზნაური იასე დოლიძე ასე აღწერს ეკატერინე სიმშვენიერეს: „თუმცა მრავალი შეწუხება გადახდა გურიიდან გამოსვლის შემდგომა, მაგრამ ძნელად შეეფერებოდა რაიმე პირისფერისა და კანის ნარნარებასა მისსა; უმშვენიერესი შავნი თვალნი მისნი, მოხდენილი შავით წამწამებითა და შავად მშვენის წარბებითა, მოასწავებდნენ რაღაც სახიერებას და ესრეთ მაღალს კეთილშობილების ამისის გიშრის თმებითა, რომე თითქმისგზნეულ ყოფდნენ, ვისაც შეხედავდა; ამასთან, ისეთი სიცოცხლე გამოღვიოდა იმ თვალებიდან, რომ იმათ ელვარებას ძნელად ითმენდნენ; მაღალი და მშვენივრად მოყვანილი ტანი მისი განაცხადებდა მარადის დიდებასა, რომელსაც ყოველნი უნებურად ეკეთილმოწიწეობდნენ» (ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდი, საქმე №182, გვ.33).

როგორც აღნიშნავენ, ეკატერინე ბატონიშვილი მაგარი ხასიათისა და მტკიცე ნებისყოფის იყო. მას ჰქონია დედისგან დალოცვილი პატარა ღვთისმშობლის ხატი, ხის ნაწილზე მამის ხელით გაკეთებული და ორივე მშობლის ამ ერთ სახსოვარს „ზეციურ წმიდის მფარველობით“ ინახავდა ტანსაცმლის ქვეშ, გულზე დაკიდებულს და მასზე ლოცულობდა თავისუფალ დროს. ერთ დღეს, პატარა დავითმა გადასცა სულთნის ბრძანება, რომლის მოსმენაზე, თითქოს, მეხი დაეცაო, შეძრწუნდა. „დავიღუპეთ, ძმაო,“ — უთხრა დავითს და გულში მაგრად ჩაიხუტა. ყველაფერს მიხვდა და ჭკვიანმა ეკატერინემ ასეთ ხერხს მიმართა: განიზრახა მორთულიყო ულამაზოდ, პირზე წაისვა შავი და დრუკი ფერ—უმარილის მსგავსი, შეიმოსა ძალზე ცუდად, შებრუნებული ტანსაცმლით და ამგვარად მორთული გაჰყვა თავის ძმას სულთანთან. სულთანთან შევიდა არმოსაწონი გარეგნობით, უსიამოვნო სიარულით, კოჭლობით, კისერგადანგრევით და თვალებდახრილი.

„ოჰ, რა ყმაწვილი ყოფილა,“ — თქვა სულთანმა დავითზე და თავზე ხელი გადაუსვა. „ნუ გეშინია, პატარა გურიელო, მე გპირდები ჩემს მოწყალებას. გზას ხომ არ შეუწუხებიხართ? შენი და როგორ არის?“ და მოიხედა ეკატერინესკენ, მაგრამ აშკარად ეტყობოდა უკმაყოფილება. სულთანმა დავითს აჩუქა რამდენიმე ქესა რუბი, წვრილი ოქროები, აკოცნინა ხელზე, გაისტუმრა და ჩააბარ მის დაახლოებულ პირს სერასკირ ხოსროვ ფაშას.

(გაგრძელება იქნება)

მანანა ლომაძე

გაგარძელება, დასაწყისი „ალიონი“ №16,17

შეხვედრა ბიბლიოთეკაში

1 ივლისს, ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ფრიდრიხ ებერტის ერთობლივი პროექტიის „საქართველოს ევროპული გზა“ შეხვედრა გაიმართა მოსწავლეე-ბთან, საზოგადოების წარმომადგენ-ლებთან, ბიბლიოთეკის მკითხველ-ებთან.

ამ პროექტის მონაწილე სალომე ჭანტურიძემ, კატო ჯავახიშვილმა, მწერალმა გურამ მეგრელიშვილმა დამსწრეებს საქართველოს ევროპული გზის ისტორიაზე ესაუბრნენ.

წარმოდგენილი იყო საინტერესო გამოფენა.

მადლობა დახმარებისათვის



ქ. ოზურგეთში, ექადიაზე, ამ უბანში მცხოვრებ 22 ოჯახს მდინარე აჭისწყლის მიმდებარედ საყანე ფართობები გააჩნიათ, რომელიც ბევრისთვის წლიური სარჩო-საბადებელის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

შარშან, ექადიიდან ანასეულში წყლის ახალი სისტემა გაიყვანეს. მშენებლობამ მოითხოვა საყანე ფართობების დამცავი 30 მეტრი ღობის მოხსნა, რომლის აღდგენა საკუთარი სახსრებით მოსახლეობამ ვერ შეძლო.

თავდაპირველად დახმარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ლავრენტი ბიგვავას** და ჩვენს მაჟორიტარს **დავით მდინარაძეს** ვთხოვეთ. შემდეგ კი წერილობით ოზურგეთის მერს **ავთანდილ თალაკვაძესაც** მივმართეთ.

ერთობლივმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. მათი ჩარევით წყალსადენი ქსელის მშენებლმა კომპანია „საბამ“საყანე ფართობის 300 მეტრი ღობე აღადგინა. სამუშაოებში თავად ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა.

მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს და კომპანია „საბას“ გულისხმიერებისა და დახმარებისთვის.

ავთანდილ ჯინჭარაძე, სოსო თავბერიძე, ლუკა ჯინჭარაძე, ცისანა ცენტერაძე.

სამგლოვიარო განცხადება

როზა გოგუაძე, გულსუნდა მახარაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლამზირი ხუხუნაიშვილს ძმის **გიზო ხუხუნაიშვილის** გარდაცვალების გამო.

მძლეოსნების წარმატებული ასპარეზობა

24-26 ივნისს, ქ თბილისში მძლეოსნობის სასახლემ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში საქართველოს გუნდებთან ერთად სომხეთის ნაკრები გუნდიც იღებდა მონაწილეობას.

შეჯიბრზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მძლეოსანთა სექციის სპორტსმენები, რომელიც უკვ 10 წელია პირველ ლიგაში ასპარეზობენ, წარმატებით გამოვიდნენ და გუნდურ ჩათვლაში IV საპრიზო ადგილი დაიკავეს.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული და ორი ოქრო მოიპოვა **სოფიკო შათირიშვილმა.** ბირთვის კვრაში (4 კგ) და ბადროს ტყორცნაში 1(კგ) (მწვრთნელები: დ. მანთიძე, მ. კოტრიკაძე)

ასევე საუკეთესოდ იასპარეზა **ქეთევან მამალაძემ** და ვერცხლი მოიპოვა ბადროს ტყორცნაში (1კგ) (მწვრთნელები: დ. მანთიძე, მ. კოტრიკაძე).

ვერცხლის მფლობელი გახდა ურის ტყორცნაში (7კგ) **გოგა ჭინჭარი** (მწვრთნელები გ . ბედოშვილი, მ. კოტრიკაძე)

ჩემპიონატზე თავი გამოიჩინეს და ოზურგეთის გუნდს გუნდურ ჩათვლაში ქულები შესძინეს : ქეთევან თევზაძემ, მერაბ მახარაძემ, გიორგი მელივამ, მიშიკო მახარაძემ.

სკანვორდი



პასუხები:

ჩეროკი: ნიმოდენი ათასობით; თავიდან ალბანელი ბიბლიოთეკარი, ბერძენი ისტორიკოსი ლუციანე ალბანელი, ბერძენი ფილოსოფოსი ფლავიუსი ალბანელი, ბერძენი ეპიგრამატული პოეტი ალბანელი, ბერძენი ფილოსოფოსი ალბანელი, ბერძენი ენციკლოპედიური ლექსიკონის ავტორ

ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად



ყრილობის პირველსავე სხდომაზე აირჩიეს სამანდატო კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის იყვნენ **გრიგოლ ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი)** და **ნოე რამიშვილი (ბორცოვი).**

რსდმპ V ყრილობამ უკვე დღის წესრიგის დამტკიცებისას დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა დებატების გარეშე დღის წესრიგიდან ამოიღეს ეროვნული საკითხი. ასეთი მოქმედება მიუტევებელი იყო, მით უფრო, რომ ამ პერიოდისათვის რუსეთის იმპერიაში ძალზე გამწვავდა ერთა შორის ურთიერთობანი. ამ თემის ყურადღების გარეშე დატოვება ხაზს უსვამდა რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობის - ბოლშევიზმისა და მენშევიზმის -კოსმოპოლიტურ ბუნებას.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში ყრილობას წარუდგინა **იული ცედერბაუმმა (ლევ მარტოვმა)**. თანამოხსენებებით გამოვიდნენ **ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი)** და **რაფაილ რეიხნი (აბრამოვიჩი).** სამივე გამოსვლა, ფრაქციულობის მიუხედავად, გაწეული მუშაობის ღრმა და სერიოზულ ანალიზს იძლეოდა. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გამართულ კამათში ქართველი დელეგატებიდან პირველი **ნოე ჟორდანია** გამოვიდა. მისი სიტყვა არ გამოირჩეოდა რაიმე სიახლით. ნოე ჟორდანია ძირითადად შეეხო მენშევიკებისა და ბოლშევიკების ურთიერთობას საანგარიშო პერიოდში. იგივე ითქმის **ნოე რამიშვილზეც**, იმ განსხვავებით, რომ მან, მართლია, მოკლედ, მაგრამ დასაბუთებულად ამხილა ვლადიმირ ლენინის (ბოლშევიზმის) ტაქტიკური ხაზი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე - სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანგარიში – მოხსენებით გამოვიდა **ირაკლი წერეთელი.** მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას სულ ჰყავდა 54 წევრი გადამწყვეტი ხმით, ხოლო 11- სათათბირო ხმით. 54 გადამწყვეტი ხმიდან 33 ეკუთვნოდა მენშევიკებს, 15 - ბოლშევიკებს, 3 ხმა ემხრობოდა მენშევიკებს, 3 ხმა - ბოლშევიკებს. თავისი მოხსენების დასაწყისშივე ირაკლი წერეთელმა აღნიშნა: „სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომლითაც განისაზღვრება მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანები იმ ისტორიულ პერიოდში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით. ამ ტაქტიკას საფუძვლად უდევს ისტორიული გამოცდილება. ეს ისტორიული გამოცდილება შეძენილია პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებისათვის ბრძოლის არენაზე ჩვენზე ადრე გამოსული ჩვენი დასავლეთ ევროპელი ძმების სისხლით“. რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები ირაკლი წერეთელმა ასე განსაზღვრა: „რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები ამჟამად წარმოადგენს იმ ამოცანების სინთეზს, რომლებიც ხორციელდებოდა დასავლეთ ევროპელი პროლეტარიატის მიერ წინა ორ რევოლუციურ ეპოქაში - საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და 48 წლის რევოლუციის (1848 წლის რევოლუციის – ვ. გ.) დროს. ჩვენმა ტაქტიკამ უნდა შეაერთოს ორი საწინააღმდეგო ტაქტიკა, რომელთაც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ატარებდა ცხოვრებაში პროლეტარიატი ამ ორი რევოლუციის დროს“. შემდეგ ირაკლი წერეთელმა გააანალიზა 1789 წლისა და 1848 წლის რევოლუციების გამოცდილება და აღნიშნა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა უნდა გაითვალისწინოს ორივე რევოლუციის გამოცდილება, ამავე დროს „ნათლად შეიგნოს თავისი საბოლოო ამოცანა, სოციალისტური გადატრიალების ამოცანა“.

ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობამ ოთხი მოხსენება მოისმინა. მოხსენებით გამოვიდნენ: ვლადიმირ ლენინი, საულ პიკერი (ალექსანდრ მარტინოვი), როზა ლუქსემბურგი და რაფაილ რეიხნი (აბრამოვიჩი). ქართველ დელეგატებს მოხსენებათა გამო გამართულ საკმაოდ მწვავე კამათში მონაწილეობა არ მიუღიათ. ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციის პროექტი ყრილობას წარუდგინა **ლევ როზენფელდმა (კამენევმა).** სულ კი შეტანილი იქნა რეზოლუციის სამი პროექტი. ქართველ დელეგატებს არც რეზოლუციების პროექტების განხილვაში მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა კენჭისყრის დროს ბოლშევიკური რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. საბოლოოდ, იმის გამო, რომ ხმების დიდი უმრავლესობა ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტმა მიიღო, ყრილობამ მხოლოდ მისი განხილვა განაგრძო. ბოლშევიკების მიერ შემოთავაზებულ რეზოლუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ: **სოხაძე, არჩილ ჯაფარიძე, ირაკლი წერეთელი, ნოე რამიშვილი, ნოე ჟორდანია.**

დელეგატმა სოხაძემ კადეტებისადმი ბოლშევიკების აშკარად აგრესიული დამოკიდებულების საპასუხოდ ყრილობაზე განაცხადა: „ჩვენ ვადასტურებთ იმ ფაქტს, რომ კადეტები მხარს უჭერენ მონარქიას, მაგრამ არ შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ მათ საბოლოოდ აქციეს ზურგი რევოლუციას“. კადეტებისადმი ბოლშევიკების არასწორი დამოკიდებულების წინააღმდეგ ირაკლი წერეთელმა ყრილობაზე განაცხადა: „აქ რამდენიმე არსებითი შესწორების შეტანა უიმედოა. ალექსინსკი ამბობდა: ჩვენ არ ვსაყვედურობთ კონსტიტუციურ დემოკრატებს იმის გამო, რომ ისინი არ გადიან ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებიდან, მაგრამ მივუთითებთ იმაზე, რომ კონსტიტუციურ-დემოკრატების იდეალებიც კი არ გადიან ამ საზღვრებს იქით. მაგრამ კადეტების პარტია რომ აშკარა ბურჟუაზიულ პოლიტიკას ატარებს და სოციალისტ-რევოლუციონერთა და ტრუდოვიკთა მსგავსად ფრაზეოლოგიით არ ინიღბება, ეს ხომ მხოლოდ მისი დადებითი მხარეა. და თუ აქ ისევ აღიმართება ხელების მთელი ტყე ჩვენი შესწორების წინააღმდეგ, ეს იქნება უხეირო ხარკი ესეროვშჩინისადმი“.

ქართველ დელეგატებს მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, როგორებიცაა სახელმწიფო სათათბირო, პარტიზანული გამოსვლები და პროფესიული მოძრაობა.

ყრილობის ოცდამეთხუთმეტე სხდომაზე გამოცხადდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შედეგები. არჩევნებში მონაწილე დელეგატებს ჰქონდათ 293 ხმა. ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს ხმები ასე განაწილდა: **ა. ს. პიკერი (მარტოვი) - 150 ხმა, ნ. ნ. ჟორდანია (კოსტროვი) - 150 ხმა, კ. ხ.დანიშევსკი (გერმანი) - 149 ხმა, ა. ი. გუსევი (ნიკიფორი) - 148 ხმა, ი. ა. ისაევი (მიხაილი) - 148 ხმა, ნ.ა. როჟკოვი (ვიაჩესლავი) - 146 ხმა, ი. ფ. დუბროვსკი (ინოკენტი) - 145 ხმა, ა. ს. ვარსკი (ადოლფი) - 145 ხმა, ი. ა. ფიოდოროვიჩი (პანოვი) - 144 ხმა, ვ. პ. ნოგინი (ვერშინინი) - 144 ხმა, ი. დ. ლენცმანი (გრიკე) - 144 ხმა, ფ. ე. ძერჟინსკი (დომანსკი) - 144 ხმა, ა. ბუშევიცი (რიბაკი) - 144 ხმა, გ. ე. რადომისლსკი(ზინოვიევი) - 143 ხმა.** არჩეულად ჩაითვალა პირველი 9 კანდიდატი (ა. ს. ვარსკის ჩათვლით). დაისვა საკითხი, თუ როგორ გადაეწყვიტათ იმ 5 კანდიდატის ბედი, რომელთაც მიიღეს თითოეულმა 144 ხმა. საბოლოოდ, ხელახალი კენჭისყრის დროს, რომელშიც მონაწილეობდა 37 დელეგატი, 5 კანდიდატიდან ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს: ი. ა. ფიოდოროვიჩი, ვ. პ. ნოგინი და ფ. ე. ძერჟინსკი. ვლადიმირ ლენინი ცენტრალურ კომიტეტში არ აურჩევიათ.

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა არ გამოირჩეოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების დიდი აქტივობით. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ირაკლი წერეთელი შეადგენდა, რომელიც ყრილობაზე წარმოდგა, როგორც მენშევიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი თეორეტიკოსი. მის სახელს უკავშირდება კარგად გააზრებული და დასაბუთებული ბრძოლა ბოლშევიზმის სტრატეგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგ.

ავტოკეფალისტური მოძრაობა 1905-1906 წლებში

საქართველოს საეგზარქოსო 1905 წელს

1905 წლის დამდეგისათვის საქართველოს საეგზარქოსოს სტრუქტურა და შტატი ასეთი იყო:

I.საქართველოს ეგზარქოსი– მთავარეპისკოპოსი **ალექსი ოპოცკი**(1901-1905), რომელიც იმავდროულად იყო ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსი;

II. რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორა (იგივე– საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა)შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა:

1. ალექსი ოპოცკი – საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი, თავმჯდომარე;

2. ბენიამინი –გორის ეპისკოპოსი;

3.ეფთვიმი –ალავერდის ეპისკოპოსი;

4.ნიკანდრი–არქიმანდრიტი,თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი;

5.გიორგი–არქიმანდრიტი, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი;

6.ამფილოქი–არქიმანდრიტი, საეგზარქოსო სახლის ეკონომი;

7.იოან ვოსტორგოვი–დეკანოზი, საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი;

8. ლევ რუშჩინსკი – ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი,საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორი და სინოდალური კანცელარიის მმართველი;

9. სოლომონ ჩიტაძე, სოფრომ მგალობლიშვილი–სინოდალური კანტორის მდივნები;

10.ლეოპოლდ ბილფელდი –სინოდალური კანტორის არქიტექტორი;

11. ალექსანდრე არდაზიანი –სინოდალური კანტორის ბუღალტერი, ხაზინადარი, ეგზეკუტორი;

11. თომა ალექსი-მესხიშვილი –სინოდალური კანტორის არქივარიუსი, რეგისტრატორი;

12. ფიოდორ ვენეკი, არონ იანკოვი, ალექსეი დავიდოვი, ნიკოლოზ ბერიშვილი –სინოდალური კანტორის მაგიდის უფროსები;

13. ვასილ ტაბატაძე, დიმიტრი მღებრიშვილი –სინოდალური კანტორის მთარგმნელები;

III. საქართველოს ეგზარქოსის კანცელარია:

1. ვლადიმირ ტრელინი– მმართველი;

2.დავით დავიდოვი, დიმიტრი სოკოლოვი – მმართველის თანაშემწეები;

3. ვასილი პეტროვი – ხაზინადარი;

4. მიხაილ ჟუკოვი – ჟურნალისტი და არქივარიუსი;

IV.საქართველოს (ქართლ-კახეთის –ვ.გ.)ეპარქია:

1. ქართლისა და კახეთის ეპარქია– ეპარქიის მმართველი რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი, საქართველოს ეგზარქოსი, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარე, მთავარეპისკოპოსი **ალექსი(ოპოცკი);**

2. გორის ეპარქია– ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი და საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს–ვ.გ.) ეპარქიის პირველი ქორეპისკოპოსი **ბენიამინი;**

3. ალავერდის ეპარქია – ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი და საქართველოს (ქართლ-კახეთის –ვ.გ.) ეპარქიის მეორე ქორეპისკოპოსი **ეფთვიმი;**

4. თბილისის სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი –დეკანოზი **მარკოზ ტყემალაძე;**

V. იმერეთის ეპარქია– ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი **ლეონიდი (ოქროპირიძე);**

1. ეპარქიის კანცელარია – მდივანი **ერასტი თუთბერიძე,** მდივნის თანაშემწე– **რაჟდენ კანდელაკი;**

2. ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი –დეკანოზი **გაბრიელ ცაგარეიშვილი;**

VI. გურია-სამეგრელოს ეპარქია – ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი **დიმიტრი;**

1. ეპარქიის კანცელარია– **მდივანი ტიხონ ავტონომოვი,** მდივნის თანაშემწე – **გიორგი მარგალიტაძე;**

2. ფოთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი **ტარასი ივანიცკი;**

VII. სოხუმის ეპარქია –ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი **არსენი (იზოტოვი);**

1. ეპარქიის კანცელარია– მდივანი **ალექსანდრ ტროიცკი,** მდივნის თანაშემწე –**ნიკოლაი ბალაბანენკო;**

2. სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი – დეკანოზი **დავით მაჭავარიანი;**

VIII. თბილისის სასულიერო სემინარია – რექტორი, ღვთისმეტყველების კანდიდატი არქიმანდრიტი **ნიკანდრი (ნიკოლაი ფენომენოვი);**

IX.ქუთაისის სასულიერო სემინარია – გამგეობისთავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **ლესნიდ კონტიპინი;**

X. თბილისის სასულიერო სასწავლებელი – ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **იოან ბუტირსკი;**

XI. გორის სასულიერო სასწავლებელი – გამგეობისთავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **გრიგორი სოკალსკი;**

XII.თელავის სასულიერო სასწავლებელი–გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **პაველ სოგინი;**

XIII. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი – გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **ივან ზელინსკი;**

XIV. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი – გამგეობის თავმჯდომარე და ზედამხედველი ღვთისმეტყველების კანდიდატი **ქსენოფონტ ნარბეკოვი.**

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 447-450)

თოჯინური სპექტაკლის პრემიერა ოზურგეთში

ალიონი. 30 ივნისს, ქ. ოზურგეთში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრში ვაჟა ფშაველას „სათაგურის“ მიხედვით დადგმული მუსიკალური სპექტაკლის „ძალა ერთობაშია“ პრემიერა გაიმართა (დამდგმელი რეჟისორები ს. მიქავა, ლ. კუტალაძე).

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ელენე კვარაცხელია, მარი ქილიფთარი, ნინო გაგუა, გურამ კეკელიძე, გიორგი გაფრინდაშვილი, გიორგი ვაშალომიძე.

მუსიკალური სპექტაკლი კარგად მიიღეს ნორჩმა მაყურებლებმა და სპექტაკლის დასრულების შემდეგ მსახიობებთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

თეატრის პრობლემა მაყურებელთა დარბაზის ტევადო-ბაა. ერთი წლის წინ დაიწყეს ახალი დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც არჩევნების წინ შეჩერდა.

თეატრის დირექტორის, ლაშა კუტალაძის თქმით მუნიციპალიტეტიდან არის დაპირებები მაყურებელთა დარბაზის სამუშაოების დასრულების შესახებ.

ჩემპიონთა ლიგაზე „ლანჩხუთის“ ქალთა გუნდი უკრაინულ „ვორსკლას“ დაუპირისპირდება

UEFA-ს ქალთა ჩემპიონთა ლიგის 2022-23 წლების სეზონის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონი „ლანჩხუთი“ უკრაინულ ხარკოვის „ვორსკლას“ დაუპირისპირდება.

უკრაინული ბარიერის დაძლევის შემთხვევაში, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლანჩხუთის“ მეტოქე ხორვატულ „სპლიტსა“ და ყაზახურ „ბიიკ-შიმკეტს“ შორის გამარჯვებული იქნება.

შეგახსენებთ, გიორგი ჩხაიძის გაწვრთნილმა „ლანჩხუთმა“ 2020-21 წლების ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ყაზახური „ოკჟეტპესი“ ხატია ჭყონიას დუბლით დაამარცხა (1:2), მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუმინულ „კლუჟის“ ხატია ჭყონიას ერთადერთი გოლით სძლია და საუკეთესო 32 გუნდს შორის მოხვდა, რაც ისტორიული წარმატება იყო. აღნიშნული სეზონის 1/32-ფინალში „ლანჩხუთი შვედეთის 10-გზის ჩემპიონს, „როზენგარდს“ დაუპირისპირდა და ორი მატჩის ჯამში დამარცხდა.

რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, საქართელოს ჩემპიონატის გასულ ტურში „ლანჩხუთმა“ „გორი იუნაიტედი“ 10:1 დაამარცხა და 8 ტურის შემდეგ 20 ქულით (6 მოგება, 2 ფრე, ბ/შ 31/6) მეორე ადგილზე იმყოფება. იგი ერთი ქულით ჩამორჩება „სამეგრელოს“.

მე-9 ტურის მატჩები 6 აგვისტოს გაიმართება. „ლანჩხუთი“ ნუცუბიძის საფეხბურთო ცენტრის „კვარტალს“ შეხვდება.

ოზურგეთში პირველი ქორეოგრაფიული ფესტივალი „ავტოგრაფი“ გაიმართა

ალიონი. ოზურგეთში სახელმწიფო ანსამბლ „გურიას“ დამაარსებლის, ჯუმბერ დუნდუას სახელობის პირველი ქორეოგრაფიული ფესტივალი „ავტოგრაფი“ გაიმართა.

ფესტივალში, გურიაში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ, რომელთაც ღონისძიების ბოლოს პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. ოზურგეთის მერის მოადგილემ **ნათია გოლიაძემ,** გუ-რიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ქეთევან მოისწრაფეშვილმა** და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლავრენტი ბიგვავამ,** ან-სამბლები ჯუმბერ დუნდუას ავტ-ოგრაფით და დიპლომებით დააჯილდოვეს.

ღონისძიება ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

„მშვენიერების ძიებაში“

ალიონი. ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღში (მენეჯერი მარიკა ღლონტი, მეთოდისტი ნაილი გრძელიძე) მორიგი სასწავლო-სააღმზრდელო წელი დასრულდა. პანდემიის გამო, მხოლოდ შესაბამისი რეგულაციების დაცვით ტარდებოდა სხვადასხვა ღონისძიებები, წლის შემაჯამებელი აქტივობები.

ჯგუფის აღმზრდელები (ლ. ქავთარაძე, მ. შილაკაძე, ნ. სირაძე, ალ. სირაძე, ირ. ქუტიძე, თ. ტოროტაძე, ნ. ქერქაძე, ნ. რუსიეშვილი) ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს სხვადასხვა თემაზე შემაჯამებელი აქტივობების გამართვით. ცალკეულად რომელიმეს გამორჩევა შეუძლებელია, რადგან ყველა ჯგუფში, როგორც აღზრდილების მონდომება, ისე აღსაზრდელების მომზადების დონე საგრძნობლად დღითიდღე იხვეწება და იზრდება.

წლის დამთავრებას მოჰყვა აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა დევიზით: „მშვენიერების ძიებაში, რომელშიც მონაწილეობდნენ: „ვვირილები“, „მტრედები“, „ცისარტყელა“, „ფუტკრები“ (2-3, 3-4, 4-5 და სასკოლო მზაობის ჯგუფები.) ძალიან საინტერესოა ბაღის მნეს ლალი ჩანთლაძის „გარდენია.“ ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული ექსპოზიცია წარმოადგინეს ბაღის აღმზრდელებმა –მათ გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის შესაბამისი სიგელები გადეცათ.

ცალკე თემაა ბაღის „ცხოველთა სამყარო“, სადაც ჰყავთ კურდღლები, ზღვის გოჭი, ზაზუნა და ა.შ. როგორც ბავშვებს, ისე აქ მისულ სტუმრებს განსაკუთრებული ესთეტიური გარემო ხვდებათ.

საინტერესო და შინაარსიანი გამოშვება ჰქონდათ სასკოლო მზაობის ჯგუფს „ფუტკრებს“.

ისინი სცენაზე მართლაც ფუტკრებივით ტრიალებდნენ და ბაღში მიღებულ ცოდნასა და უნარს, მუსიკალურ ნიჭს აჩვენებდნენ დარბაზში მყოფ მასწავლებლებს, მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს. ამისთვის კი დიდი შრომა ჰქონდათ ჩადებული მათ აღმზრდელებს ლია ქავთარაძეს, მზია შილაკაძეს და მუსიკის მასწავლებელს ნანა ქილიფთარს.

კარგი შეფასება მისცა ამ დღის ღონისძიებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანების დირექტორმა მაკა ჭყონიამ.

გვინდა იცოდეთ ოზურგეთელი „ფუტკრების“ სახელი და გვარები, რომლებიც მომავალში საქართველოს ასახელებენ: ნინო გაჩეჩილაძე, ვაკო პირაშვილი, ლილე კილაძე, გაბრიელ კეკელიძე, გაბრიელ პაპუნაშვილი, ბარბარე გირკელიძე, მიქელ როხვაძე, ლუკა ჩავლეშვილი, ბარბარე აკობიძე, ნიკოლოზ ტუმაჩინსკი, ალექსანდრე მათითაიშვილი, გიორგი დობორჯგინიძე, თორნიკე მიქატაძე, თებეა მდინარაძე, ანდრია ნაცვალაძე, სბა გუჯაბიძე, დემეტრე კაპანაძე, მარიამ დობორჯგინიძე, იოანე მელიქაძე, ნინი ნინიძე, გეგა ღლონტი, გაბრიელ ზაქარიაძე.

7 დღის ამინდის პროგნოზი

4 ივლისი, ორშაბათი	5 ივლისი, სამშაბათი	6 ივლისი, ოთხშაბათი	7 ივლისი, ხუთშაბათი	8 ივლისი, პარასკევი	9 ივლისი, შაბათი	10 ივლისი, კვირა
მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	წვიმა	წვიმა
+14 +24	+15 +24	+15 +27	+16 +24	+16 +25	+17 +24	+17 +24